ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1389370

ნომერი: AR1235537

თარიღი : 12.07.2014

გაცემის თარიღი : 31.07.2014

გაცნობის თარიღი : 06.08.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გელაშვილი პ/ნ 01001001698
- თბილისი დიღმის მას. VI კვ. კორ. 19 ბ. 12

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ– თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02.04.2014წ. #1202683 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 07/12/2014წ. #AR1235537 განაცხადით მომართეს

გიორგი გელაშვილმა და თამაზ კიკნაძემ და მოითხოვეს სამსახურის 02.04.2014წ. #1202683 ბრძანების ძალდაკარგულად გამოცხადება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 02.04.2014წ. #1202683 ბრძანებით, ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #01.72.14.034.822) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 03 აპრილიდან 2019 წლის 03 აპრილის ჩათვლით, ხოლო დამკვეთად დაფიქსირდა შპს "მშენებელი 2013".
დღეისათვის, განმცხადებლები ითხოვენ 02.04.2014წ. #1202683 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან, დამკვეთს აღარ აქვს აქვს ინტერესი აწარმოოს სამშენებლო სამუშაოები აღნიშნული ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე.
ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B14005364, ამონაწერის მომზადების თარიღი: 22/01/2014 15:02:05) დგინდება, რომ დამკვეთის, შპს "მშენებელი 2013"–ის დირექტორს წარმოადგენს განმცხადებელი გიორგი გელაშვილი.
ამასთან, სამსახურში წარმოდგენილი სამშენებლო ობიექტზე არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათებიდან ირკვევა, რომ სამშენებლო ობიექტზე ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტის საფუძველზე მშენებლობა ნაწარმოები არ არის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
“ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლში განსაზღვრული საფუძვლების გარდა, შეიძლება იყოს ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დამკვეთს აღარ გააჩნია, ზემოთ მითითებული აღმჭურველი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საპროექტო ობიექტის სამშენებლოდ გავითარების ინტერესი და მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოები არ არის, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა ინიდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს გიორგი გელაშვილისა და თამაზ კიკნაძის 07/12/2014წ. #AR1235537 განაცხადი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02.04.2014წ. #1202683 ბრძანება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის.: ჟ. შარტავას ქუჩა #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.